პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

BENEFITS



ექსკლუზიური შეთავაზება პროკრედიტ ბანკისთვის

Global Benefits Georgia არის წამყვანი სადაზღვევო კომპანია საქართველოს ბაზარზე 2017 წლიდან, რომელიც ახორციელებს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევას. თითოეული კლიენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა არის კომპანიის მთავარი სახელმძღვანელო პროდუქტებისა და სერვისების შესაქმნელად, რადგან თითოეული ორგანიზაციული და ინდივიდუალური რისკი უნიკალურია, მხოლოდ ყველა რისკის საფუძვლიან ანალიზს შეუძლია შექმნას სადაზღვევო გეგმა, რომელიც სრულყოფილად შეესაბამება ნებისმიერ საჭიროებას.

მსოფლიოს მასშტაბით

10 000

წამყვანი კლინიკა

საქართველოში

40 000

ზე მეტი კმაყოფილი დაზღვეული

საქართველოში

185

თანამშრომელი საქართველოში

დაზღვევას ექვემდებარება

შენობა - ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები

საინჟინრო ელემენტები, რომელიც შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს

შენობა - ნაგებობების შიდა მოპირკეთება (რემონტი)

კედლების, იატაკის და ჭერის ყველა სახის სალეს-სამღებრო სამუშაოები, გამოყენებული მასალების და დეკორატიული ელემენტების ჩათვლით; ასევე მათი მოპირკეთება ნებისმიერი სახის მასალით; კარ-ფანჯარა, ფიქსირებული მინა; შიდა კიბე; შიდა საკომუნიკაციო მოწყობილობები (წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგაყვანილობა და გაზგაყვანილობა)

დამატებითი ობიექტი (ფართი), როგორებიცაა:

სარდაფი, სხვენი, გარაჟი, ღობე, გალავანი, სპორტული მოედანი, აუზი – თუ ისინი წარმოადგენენ დაზღვეული ქონების კონსტრუქციის განუყოფელ ნაწილს

სადაზღვევო ტარიფი

სადაზღვევო თანხა (საბაზრო ღირებულების ოდენობა) (ლარი)		წლიური ტარიფი (მინიმალური პრემია პოლისზე 150 ლარი)	ფრანშიზა
–	< = 1 000 000	0,072%.	5% ზარალიდან მინ. 1500 ლარი (ყველა რისკზე სრული ზარალის და მიწისძვრის გარდა) 5%სადაზღვევო თანხიდან, მინ. 5000 ლარი მიწისძვრის და სრული ზარალის შემთხვევაში.
> 1 000 000	</ = 3 000 000	0,065%.	5% ზარალიდან მინ. 2000 ლარი (ყველა რისკზე სრული ზარალის და მიწისძვრის გარდა) 5% სადაზღვევო თანხიდან, მინ. 7500 ლარი მიწისძვრის და სრული ზარალის შემთხვევაში.
> 3 000 000	</ = 6 000 000	0,055%.	5% ზარალიდან მინ. 2500 ლარი (ყველა რისკზე სრული ზარალის და მიწისძვრის გარდა) 5%სადაზღვევო თანხიდან, მინ. 9500 ლარი მიწისძვრის და სრული ზარალის შემთხვევაში.
მინიმალური სადაზღვევო პრემია: 100 ლარი			

გადაზღვევა

მზღვეველის საკონტრაქტო გადამზღვეველი კომპანიებიდან ერთ - ერთთან
(Hanover/ SCOR/Standard & Poors/Polish -AA-/AA)

სადაზღვევო რისკები

წინამდებარე პირობებით იფარება დაზღვეული ქონების დაზიანება/დანაკარგი/განადგურება, რომელიც პირდაპირ გამოწვეულია პოლისში მითითებული რისკების(რისკთა ჯგუფის) შედეგად.

ჯგუფი A

- ხანძარი
- მეხის დაცემა
- აფეთქება
- საფრენი აპარატის ჩამოვარდნა

ჯგუფი B

- სეტყვა
- წყალდიდობა
- მიწისძვრა
- მეწყერი
- ზვავი
- გრუნტის აწევა ან დაწევა
- თოვლის სიმძიმით გამოწვეული ფიზიკური ზიანი
- შტორმი, ძლიერი ქარი, ქარიშხალი

ჯგუფი C

- ქურდობა, ქურდობის მცდელობა
- ძარცვა, ყაჩაღობა
- მესამე პირთა განზრახ მიყენებული ზიანი
  (გარდა ფიქსირებული მინის დაზიანებისა, რომელიც შესაძლებელია დაიზღვეს ცალკე კლიენტის მოთხოვნითა და დამატებითი ტარიფის გადახდის შემთხვევაში)

ჯგუფი D

- სატრანსპორტო საშუალების შეჯახება
- წყლით დაზიანება

ქონება დაზღვეულია მხოლოდ პოლისში აღნიშნული რისკებისაგან და პოლისში აღნიშნულ მისამართზე.

თუ ამ პირობებით ან პოლისით სხვა რამ არაა განსაზღვრული, ის პრინციპები, რომლებიც ვრცელდება სადაზღვევო რისკის ჯგუფზე, ასევე ვრცელდება ამ ჯგუფის ცალკეულ რისკზე.

გამონაკლისები

- სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება, სტანდარტულ გამონაკლისად მიიჩნევა და, შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც დადგა.
- დაზღვევის პერიოდის დაწყებამდე, მაგრამ გამოვლინდა დაზღვევის პერიოდში;
- ქონების (მისი შიგთავსის) სიძველით, ლპობით, ხანგრძლივი ექსპლუატაციით, ცვეთით, კოროზიით, დადგენილ სტანდარტებთან/ნორმებთან შეუსაბამობით, თვითაალებით ან სხვა ბუნებრივი/ხარისხობრივი თვისებებით (თუ ეს გარემოებები დაზღვეულისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ იზრუნა მათ აღმოფხვრაზე დროულად), ქონებისა ან მასთან დაკავშირებული პროცესების მიმართ სახელმწიფო მოთხოვნების დაუცველობით, ან თუ მისი დადგომა გარდაუვალი იყო ქონების ან საქმიანობის სპეციფიკაციის ცვლილებიდან გამომდინარე;
- დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის), მისი წარმომადგენლის, თანამშრომლის ბრალით (მათ შორის, შესაბამისი ნორმატივის, სახანძრო თუ სხვა წესის ან/და ტექნოლოგიის დაუცველობა, არასწორი ექსპლუატაცია, საფრთხის დროულად აღმოუფხვრელობა, ზარალის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად სათანადო ზომების გამოუყენებლობა, ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ტოქსიკური,ფსიქოტროპული ან მათი ანალოგის ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა);
- რადიაქტიური დასხივებით ან ბირთვული საწვავის გამოყენებით;
- ექსპერიმენტული ან კვლევითი სამუშაოებით, ან ქონების არადანიშნულებისამებრ გამოყენებით;
- დაზღვეული ქონების ცეცხლით, სითბოთი ან სხვა სახის თერმული დამუშავებით (გაშრობა, ხარშვა, დნობა და სხვ.) გამოწვეული ხანძრით, რომელიც ცალსახად ზრდის სადაზღვევო რისკის მოხდენის ალბათობას, თუ ეს უშუალოდ არ არის გამოწვეული დაზღვეულის ტექნოლოგიური ბიზნეს პროცესებით.
- შიგაწვის ძრავასა ან ანალოგიურ მანქანა-დანადგარებზე წვის კამერაში მომხდარი აფეთქების შედეგად;
- ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქებით („ასაფეთქებელი ნივთიერების” ქვეშ იგულისხმება ნივთიერების ნარევი ან ქიმიური შენაერთი, რომელსაც აქვს სწრაფი ქიმიური რეაქციის უნარი, თან სდევს დიდი ოდენობით სითბოსა და გაზის გამოყოფა და სპეციალურად დანიშნულია ამა თუ იმ ფორმით აფეთქებისათვის) იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველისთვის ეს გარემოება ცნობილი არ იყო დაზღვევის განხორციელებამდე;
- მიწისძვრის შედეგად, თუ დაზღვეული შენობა-ნაგებობის მშენებლობა-რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული არ იყო სეისმოლოგიური პირობები ან თუ დაზღვეული შენობა-ნაგებობა ამორტიზებული იყო და შემფასებლის მიერ არ იყო მითითებული დასკვნაში;
- მეწყერის, გრუნტის დაჯდომის ან სხვა მოძრაობის შედეგად, თუ ეს გამოწვეულია ასაფეთქებელი სამუშაოების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით ან გადამუშავებით თუ ეს განპირობებულია მესამე მხარის ბრალით;
- ვიტრინის, მინის კედლის, ვიტრაჟის, ფანჯრის/კარის მინისა ან ამ მინის ჩარჩოს, შენობა-ნაგებობის გარეთა მხრიდან მიმაგრებული ან გაყვანილი საგნის (ანძა, ანტენა, დაფა, ფირნიში, სარეკლამო მოწყობილობა, საკომუნიკაციო,ელექტროგაყვანილობის ან მილების სისტემა და ა.შ.) დაზიანებით (ავარიით) ან განადგურებით, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- საკომუნიკაციო, ელექტროგაყვანილობის ან მილების სისტემის ის ნაწილი, რომელიც ცდება ქონების ტერიტორიას 150 მეტრი რადიუსით;

- ღია ფანჯრის/კარის გზით, თუ გაღება გამოწვეული არ იყო იმ სტიქიური უბედურების, როგორც დაზღვეული რისკის, შედეგად;
- ქონების ცალკეული შემადგენელი დაზღვეული ნივთების (მოძრავი ქონების) ღია ცის ქვეშ განთავსების შედეგად;
- კომერციული, საწარმოო ან ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის, მისი შემადგენელი ნაწილის დაზიანება მესამე პირის ბრალით, ქურდობა, ძარცვა ან ყაჩაღობა, იმ შემთხვევაში თუ კანონით სავალდებულო იყო და შენობა-ნაგებობას არ გააჩნდა კანონის მიხედვით ლიცენზირებული დაცვითი მომსახურება ან საკუთარი დაცვის სამსახური; ხოლო, ქონების შიგთავსის დაზღვევის შემთხვევაში, ქურდობა/ძარცვა/ ყაჩაღობის რისკი დაზღვეული არ არის, თუ ობიექტს არ გააჩნია არანაირი დაცვითი მომსახურება.
- კომერციული, საწარმოო ან ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის, მისი შემადგენელი ნაწილის ან/და მისი შიგთავსის დაზიანება ხანძრის რისკის შედეგად, თუ შენობა-ნაგეობას არ გააჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- ისეთი გარემოების შედეგად, რაც ზრდიდა სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან მის შემდეგ ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისათვის (დაზღვეულისათვის, მოსარგებლისთვის) და:
ა) მან არ იზრუნა ამ გარემოების გამოსასწორებლად, რათა რისკი/ზიანი გამორიცხულიყო ან შემცირებულიყო; და
ბ) ამის შესახებ წერილობით არ ან დაგვიანებით ეცნობა მზღვეველს ან ეცნობა არასრულად; კანონმდებლობით ან ამ პირობებით განსაზღვრული სხვა ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, რომლებიც დამზღვევის (დაზღვეულის) ბრალეულობას ავლენს ან/და სადაზღვევო ანაზღაურებას გამორიცხავს.
- საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), შეიარაღებული ამბოხებით, ლოკაუტით, სამოქალაქო ომით, სამხედრო გადატრიალებით, სახალხო აჯანყებით, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლების ქმედებით, ატომური იარაღის გამოყენებით, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობით ან სხვა ნებისმიერი მოვლენით ან გარემოებით, რის შედეგადაც გამოცხადებულია სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა, ან ყოველივე ამისაგან გამომდინარე მიზეზებით;
- ნებისმიერი ტერორისტული აქტით ან მისი მცდელობის შედეგად;
- ნებისმიერი სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების (დემონტაჟის, მონტაჟის, გადაკეთების და მსგავსი) პროცესში (გარდა მცირედი კოსმეტიკური რემონტისა);
- შენობების, ნაგებობების ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების დაზიანება ან განადგურება, თუ ეს გამოწვეულია შეუსაბამო ან/და არასწორი დიზაინით/პროექტირებით/ მშენებლობით

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა მილგაყვნილობის, გათბობისა თუ ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეცვლის, შეკეთების ან გაყინვის შემდეგ მათი გათბობისათვის;
- ის ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ან მისი მიმდებარე ტერიტორიის დასასუფთავებლად-მოსაწესრიგებლად (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- ზიანი, რომლის დადგომა ან/და ოდენობა დოკუმენტურად დაუსაბუთებელია;
- ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო თანხები;
- ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ხარჯები;
- ქონების გადაკეთების ან გაუმჯობესების ხარჯები.
- ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ხარჯები, დაჩქარებული ტრანსპორტირება და სხვა მსგავი ხარჯი;
- დამზღვევსა და მზღვეველს შორის შეთანხმებით, რაც აისახება პოლისში, შეიძლება დაემატოს ან ამოღებულ იქნეს სტანდარტული გამონაკლისის(ებ)ი.

ზარალის შემთხვევაში

დამზღვევმა (დაზღვეულმა) მზღვეველს წერილობით ან ცხელი ხაზის **+995 322 50 00 01** მეშვეობით უნდა შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მისი აღმოჩენიდან 48 საათში და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს მომხდარი ფაქტის დაფიქსირების მიზნით, ხოლო - შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა უნდა წარუდგინოს ზიანის განაცხადი (დანართი N4), რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის განხილვის საფუძველია. მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ იგი აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს შეტყობინებას.

სადაზღვევო ანაზღაურება

- ქონების სრული განადგურებისას – ქონების რეალური ღირებულების ფარგლებში, ნარჩენი ღირებულების, სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ცვეთის და პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა;
- ქონების ნაწილობრივი დაზიანებისას – დანახარჯებით აღდგენაზე, რომელიც აუცილებელია ქონების აღსადგენად სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის არსებულ მდგომარეობამდე სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ცვეთის და პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის გამოკლებით მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა;
- დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება, სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე და მოიცავს:
- დანახარჯებს შეკეთების და/ან აღდგენის მასალებზე და სათადარიგო ნაწილებზე სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის არსებული ცვეთის გათვალისწინებით;
- დანახარჯებს შეკეთების და/ან აღდგენის სამუშაოების ანაზღაურებაზე;

აღნიშნული ინფორმაცია არის გაცნობითი ხასიათის და არ გააჩნია იურიდიული ძალა



BENEFITS

+995 322 500 001
www.benefits.ge